საწარმოს დირექტორის ფინანსური პასუხისმგებლობის ფარგლები

ნოდარ ჩაჩანიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

კერძო (ბიზნეს) სამართლის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

გიორგი ნარმანია (სამართლის მაგისტრი, მოწვეული ლექტორი)

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

როგორც წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ხელმოწერა: _____ ნოდარ ჩაჩანიძე

თარიღი: 03 ივლისი 2017 წ.

აბსტრაქტი

სამეწარმეო საზოგადოების საქმიანობა და განვითარება დაკავშირებულია საწარმოს ხელმძღვანელის კვალიფიკაციასთან და მის პროფესიულ უნარებთან. კანონმდებლობა აყალიბებს იმ ძირითად სტანდარტებს, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს დირექტორი ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების განხორციელების დროს, ხოლო ხელმღვანელის მიერ კანონით დაწესებული მოთხოვნების უგულვებელყოფამ შესაძლოა საწარმო კრახის პირას მიიყვანოს.

სამაგისტრო ნაშრომი ეხება სამეწარმეო საზოგადოების ხელმძღვანელთა ფინანსური პასუხისმგებლობის ფარგლებს. პირველ თავში განხილულია დირექტორის ფიდუციური ვალდებულებები საწარმოს წინაშე. მეორე თავში ყურადღება გამახვილებულია საწარმოს პარტნიორის უფლებაზე დირექტორის წინააღმდეგ შეიტანოს დერივაციული სარჩელი და მოითხოვოს დირექტორის მიერ კომპანიისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება. მესამე თავში კი საუბარია დირექტორის პირადი ქონებით პასუხისმგებლობაზე საწარმოს კრედიტორების წინაშე, რაც გაანალიზებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების კონტექსტში.

ნაშრომის ფარგლებში გამოყენებული იქნება კვლევის შედარებითი მეთოდი. ქართული კანონმდებლობის გარდა დირექტორის პასუხისმგებლობის საკითხს ამერიკული და გერმანული სამართლის ჭრილშიც განვიხილავთ. ნაშრომის მიზანი ასევე არის ის, რომ გამოვავლინოთ ეროვნულ კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები, შევეხოთ არსებულ სასამართლო პრაქტიკას და კიდევ უფრო ნათლად ვაჩვენოთ საზოგადოებას მოცემული საკითხის მნიშვნელობა.

Abstract

Qualfication and professional skills of the management influences the business activity and the development of any company. The legislation defines the main standard that needs to be complied with by the company director when he manages the company. If these requirements are disregarded this can lead to the destruction of the company.

This paper outlines the scope of personal financial liability of the company director. First Chapter reviews the fiduciary duties that the director owes to the company. The Second Chapter discusses the shareholders' right to bring a derivative suit againt the director and request the compensation of damages incurred by the company; while third Chapter analyzes the personal liability of the director vis-à-vis the creditors of the company. This topic is evaluated based on the decision made by the Georgian Supreme Court.

The method of comparatice research was used while working on this paper. In addition to Georgian legislation and case-law, the paper also review the issue of director's responsibility in the US and German law. Paper aims to identify the problems in the national legislation, analyze the case law and demonstrate the importance of this subject.